სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო

ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 230 51 65
info@youthagency.gov.ge

02 / მაისი / 2024 წ.

KARR1783791340624

№ 01/211

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ კახა ენუქიძეს;

ვანის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე გოგორიშვილს;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ვასილ გველესიანს;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ მანუჩარ რობაქიძეს;

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ დავით ბახტაძეს;

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ლევან ივანაშვილს;

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ დავით ჩერქეზიშვილს;

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ იოსებ ხახალეიშვილს;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს;

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ გივი მოდებაძეს;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ კობა ლურსმანაშვილს;

ხონის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ლადო ჯურხაძეს;

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით, აცხადებს მცირე გრანტების კონკურსს, **„რეგიონული ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“.** კონკურსში მონაწილეობა შეუძლია რეგიონში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს.

საგრანტო კონკურსის საერთო ბიუჯეტია - **600 000 ლარი,** ხოლო მაქსიმალური თანხის მოცულობა, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია ერთი საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად არის - 15 000 ლარი.

კონკურსის ფარგლებში პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ფინანსურ/მატერიალურ მხარდაჭერას (ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი) და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები

შეესაბამება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიას ან/და “სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026წწ.“ მიზნებს.

საგრანტო კონკურსი გამოცხადდა მიმდინარე წლის 1 მაისს და გაგრძელდება 2024 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით. კონკურსის ფარგლებში განაცხადები მიიღება ყოველი თვის 13 (ცამეტი) რიცხვიდან 25 (ოცდახუთი) რიცხვის ჩათვლით, კონკურსის ბიუჯეტის ამოწურვამდე.

საგრანტო კონკურსის პოპულარიზაციის მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ინფორმირება და გააზიაროთ აღნიშნული შესაძლებლობა თქვენი მუნიციპალიტეტის ოფიციალური სოციალური ქსელის საშუალებით. იხ. გასაზიარებელი ბმული: https://bit.ly/4aienah

შეგახსენებთ, რომ მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე თვეში განაცხადები მიიღება 13 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით სააგენტოს თანამშრომელს: მონიკა ალანია; ტელ: 595 807509; E-mail: monikaalania1@gmail.com

პატივისცემით,

სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგ ბააკაშვილი